გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 227

2023 წლის 8 დეკემბერი

ქ. გორი

ქალაქ გორში დიმიტრი ამილახვარის ქუჩაზე, დურმიშხან ბერუაშვილის ქუჩის კვეთასთან ამკრძალავი საგზაო ნიშანის 3.27 -„გაჩერება აკრძალულია“ განთავსების შესახებ

ქალაქ გორში დიმიტრი ამილახვარის ქუჩის მონაკვეთი, დურმიშხან ბერუაშვილის ქუჩიდან სტალინის გამზირამდე წარმოადგენს სიგანეში ვიწრო მონაკვეთს, ქუჩის ორივე მხარეს ავტოტრანსპორტის პარკირება ხელს უშლის ავტოტრანსპორტის მოძრაობას, აღნიშნული საკითხი შეისწავლა გორის მუნიციპალიტეტის მერიამ შსს შიდა ქართლის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის გორის რაიონული სამმართველოსთან ერთად და მიზანშეწონილად მიიჩნია რომ ქ. გორში დიმიტრი ამილახვარის ქუჩაზე, დურმიშხან ბერუაშვილის ქუჩის კვეთასთან (გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეზოს სამხრეთი მხარე) დაიდგას ამკრძალავი საგზაო ნიშანი 3.27 -„გაჩერება აკრძალულია“.

მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხო, შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველყოფის მიზნით, ,გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია ქ. გორში დიმიტრი ამილახვარის ქუჩაზე, დურმიშხან ბერუაშვილის ქუჩის კვეთასთან დაიდგას ამკრძალავი საგზაო ნიშანი 3.27 -„გაჩერება აკრძალულია“.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. ქ. გორში დიმიტრი ამილახვარის ქუჩაზე, დურმიშხან ბერუაშვილის ქუჩის კვეთასთან დაიდგას ამკრძალავი საგზაო ნიშანი 3.27 -„გაჩერება აკრძალულია“.
2. ამ კანკარგულების თანახმად, დაევალოს გორის მუნიციპალიტეტის მერიას შესაბამისი ღონისძიებების განახორციელება.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე